# „ნაცებმა“ მერის ანგარიშის წარდგენისას წინასწარ დამუშავებული სასკანდალო ინფორმაცია ომახიანად გაახმოვანეს



**ალიონი.** სკანდალებში გაწაფულმა ოზურგეთელმა „ნაციონალებმა“ დავით მჟავანაძემ და ბესო ქათამაძემ ოზურგეთის მერს, კონსტანტინე შარაშენიძეს მიცემული ხმები დააყვედრეს და კორუმპირებულის იარლიყის მიკერებით, დარბაზში გასროლილ რეპლიცას თუ გამოვიყენებთ, ანგარიშის წარდგენა „ჩაამწარეს“ კიდეც.

ეს ყველაფერი 26 მარტს ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში მოხდა, როდესაც კონსტანტინე შარაშენიძემ დამსწრე საზოგადოებას შარშანდელი საქმიანობის ანგარიში ჩააბარა.

„ნაცები“, როგორც ჩვეული, სხდომაზე დაგვიანებით შემობრძანდნენ და როცა მერმა მოხსენება დაასრულა და შეკითხვებზე პასუხის გაცემა დაიწყო, თავიანთ „მეორე ლაბორატორიაში“ (ყველა ოზურგეთელმა იცის, ამ ორ სიტყვაში რაც იგულისხმება) დამუშავებული სასკანდალო ინფორმაცია ომახიანად გააჟღერეს.

დავით მჟავანაძემ კონსტანტინე შარაშენიძეს ფურცლების დასტა აუფრიალა, ეს თქვენი დეკლარაციიდან ამონაწერია, მაინტერესებს ამ შემოსავლების პატრონმა როგორ შესძელით ვაჟიშვილისთვის ძვირად ღირებული ბინის შეძენა, თქვენ კორუმპირებული მერი ხართ. ამის შესახებ ოზურგეთელებმა უნდა იცოდნენ და ამიტომ მე ამ საბუთებს ჟურნალისტებს გადავცემო.

მერის კორუმპირებულობაზე მტკიცებით ფორმაში ისაუბრა ბესო ქათამაძემაც, რომელმაც კონსტანტინე შარაშენიძეს ნასაკირალის ამბები შეახსენა, მისი თქმით, მერმა მოატყუა ნასაკირალელები და რაც არ გააკეთა ის მას დააბრალა.

თუ ამ სკანდალში რაღაც სხვა თამაში არ იმალება, ნაციონალების გამოსვლის მიხედვით, მერმა ვერ გაამართლა „ნაციონალების“ იმედები, ეს მაშინ, როდესაც, დავით მჟავანაძის თქმით, მის არჩევას „ნაციონალებმა“ მთელი საარჩევნო რესურსი შეალიეს.

მოკლედ, წამახებ-წამოძახებით, „ნაცებმა“ პირში გამოივლეს მერი, განაჩენიც კი გამოუტანეს, არც კონსტანტინე შარაშენიძე დარჩენია ვალში, განსაკუთრებით ფრაზით „დასათქეშები ხართ“.

არავის ადვოკატობას ვაპირებთ, მაგრამ არის თუ არა ოზურგეთის მერი კორუმპირებული, ამას „ნაცები“ კი არ უნდა არკვევდეს, არამედ სასამართლო, შესაბამისად, განაჩენიც სასამართლომ უნდა გამოიტანოს და არა „ნაცებმა“. რაც შეეხება მერისა და მერიის მიერ შარშან გაწეულ საქმიანობას, ვინც გაკეთებულს ვერ ხედავს, მას მხოლოდ მხედველობის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს, გონებრივადაც უნდა უჭირდეს ცოტა.




# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 8 (10378) 29 მარტი 2021 წ. ფასი 60 თეთრი.


# ოზურგეთში სასწრაფო დახმარების ადმინისტრაციული შენობა გაიხსნა



**ალიონი.** გასულ პარასკევს ოზურგეთში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ახალი შენობა გაიხსნა. ცენტრის მედპერსონალი მუშაობას ახალ სამუშაო გარემოში გააგ-რძელებს. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცენტრი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სპეციფიკის გათვალისწინებითაა დაპრო-ექტებული. ადმინისტრაციული შენობა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა **ეკატერინე ტიკარაძემ**, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორთან **ალექსანდრე კალანდიასთან** ერთად გახსნა.

–„*დღეს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის 32-ე ახალი ადმინისტრაციულ შენობა გავხსენით, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება. პროექტი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ახალი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების შენობაში 7 ბრიგადის განთავსებაა შესაძლებელი. მალე გურიის რეგიონს ახალი რეანიმობილიც გადაეცემა. პანდემიის პერიოდში ექიმები წინა ხაზზე რიან და მათ ამ თავდადებისთვის მადლობა მინდა გადავუხადო*“– ამის შესახებ ჟურნალისტებთან **ეკატერინე ტიკარაძემ** განაცხადა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრების მშენებლობის პროექტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად ახორციელებს.

ეკატერინე ტიკარაძე ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ადგილობრივ მედიკოსებს შეხვდა.

მინისტრი გურიაში **COVID**-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესს გაეცნო.

# „რიონის ხეობის გადარჩენისათვის ბრძოლაში პარტიების ჩაბმას არ ვაპირებთ“.

**ნუგზარ ასათიანი**

გასულ სამშაბათს, ოზურგეთელთა მცირე დელეგაცია (მამა ვახტანგი (თოხაძე), ნუგზარ კალანდარიშვილი, ლევან თავდიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი) რიონის ხეობის სოფელ ნამოხვანში ვიმყოფებოდით და ხეობის მცველებს შევხვდით, რომლებიც უკვე 150 დღეზე მეტია ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის პროექტს აპროტესტებენ.



ხეობის მცველებმა ერთ-ერთ კარავში მიგვიწვიეს, სადაც საინტერესო საუბარი გაიმართა.

ნამახვანის ჰესების კასკადი ორ ჰესს მოიცავს: ნამახვანი-ჟონეთის ჰესს –333 მგვტ. დადგმული სიმძლავრით და ტვიში ჰესს –100 მგვტ. დადგმული სიმძლავრით.

ქვედა ნამახვანის ჰესის სათავე ნაგებობისთვის 105 მეტრი სიმაღლის კაშხალის აგებაა დაგეგმილი, სოფელ ნამოხვანის ზემოთ, მდინარე რიონის ვიწრო ხეობაში. წყლის დაგუბების შემდეგ ტბის სარკის ზედაპირის ფართობი 610 ჰექტარი იქნება და ეს წყალსაცავი ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებამდე: ქორენიშსა და ორხვიში მიაღწევს.ქვედა ნამოხვანის ჰესისათვის დაგეგმილია 4 400 მეტრის გვირაბის მშენებლობა, რომელშიც მდინარე რიონს მოაქცევენ.

ტვიში ჰესის კაშხალის სიმაღლე 56 მეტრი იქნება და დაახლოებით 1000 ჰექტარი ტერიტორია დაიტბორება.

2019 წლის 22 აპრილს ეკონომიკის სამინისტროს „სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტომ“ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობის ნებართვა გასცა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა 2020 წლის 28 თებერვალს თურქულ კომპანია შპს „ენკა რინიუებლიზს“ მისცა დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება – მდინარე რიონზე ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას უფლება ეძლეოდა ჰესების კასკადის სამშენებლო სამუშაოები მხოლოდ ნებართვით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ ეწარმოებინა და მანამდე მხოლოდ მოსამზადებელი და მიწის სამუშაოების ჩატარება შეეძლო, კომპანიამ მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოდგენამდე რიონის ხეობის რამდენიმე მონაკვეთი მთლიანად გადათხარა, გაანადგურა ულამაზესი ნამოხვანის ჩანჩქერი. თურქულმა კომპანიამ ააშენა 500 კაცზე გათვლილი დროებითი ბანაკი, ბეტონის ქარხანა, ჰესების მშენებლობისათვის საჭირო გზები და ხიდები.

▶▶▶ გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani15@gmail.com**
**558 499100**
*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**
*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100


გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

**დაიწყეთ ყოველი რიჟრაჟი ალიონზე**

**«ალიონით»**

# გიორგი სახოკია ვიტოლდ სარტორიუსის შეხვდა



სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი სახოკია, საპილოტე რეგიონების ინტერგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის ლიდერს ვიტოლდ სარტორიუსის შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა მიმოიხილეს ის პროექტები და ინიციატივები, რომლებიც ევროკავშირის მიერ არის მხარდაჭერილი; ასევე, ისაუბრეს ამ პროგრამის ფარგლებში სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბახვში, ჩაის საწარმოსთან მისასვლელი გზის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კი - ორპირას კალაპოტის ერთი ნაწილის რეაბილიტაცია განხორციელდა.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს დაბალანსებულ ტერიტორიულ განვითარებას და რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და სტანდარტების გაუმჯობესებას ინკლუზიური და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივების განხორციელების გზით.

2020 წლის ივნისში, საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიამ ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებული პროგრამის - საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში პირველი კონკურსი ჩაატარა. 11-მა მუნიციპალიტეტმა 4 საპილოტე რეგიონიდან (კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა, ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) ჯამში 5 მილიონი ლარის დაფინანსება მიიღო. მათ შორის, არის გურიის 2 მუნიციპალიტეტი - ოზურგეთი და ჩოხატაური, რომელთაც ჯამში 540 800 ლარის დაფინანსება მიიღეს. მუნიციპალიტეტებმა, რომლებიც სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ იქნა შერჩეული, საპილოტე რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების მიერ ორგანიზებულ კონკურსში, მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტები განახორციელეს და ხელი შეუწყვეს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას.

შეხვედრას დასავლეთ საქართველოს საპილოტე რეგიონების კოორდინატორი ნინო ხუხუა, უმცროსი მენეჯერი სოფო ექსეულიძე, რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლები დაესწრნენ.

# „არწივებმა“ „ხვამლს“ სძლიეს



საქართველოს პირველობაზე რაგბიში პირველი ლიგის (ზედა ექვსეული) გუნდებს შორის გათამაშების მესამე ტურში . ოზურგეთის „არწივებმა“ თბილისის „ხვამლს“ უმასპინძლეს. ოზურგეთელებმა ბოლომდე იბრძოლეს ამ მატჩში და სტუმრები 25:19 დაამარცხეს

„ხვამლმა“ ამ წაგებით პრაქტიკულად დაკარგა გათამაშების I–II ადგილებზე გასვლის შანსი.

ოზურგეთელთაგან გოჩა ჯიქიამ ორი ლელო დადო; თითო ლელო შოთა ცეცხლაძის და დათო ჩაუჩიძის ანგარიშზეა. ერთი ჯარიმა დაარტყა წარმატებით და ასევე ერთი გარდასახვა შეასრულა ზურაბ ჟორჟოლაძემ.

ამ მოგებით „არწივებს“ 13 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში კვლავ მე-4 პოზიციაზე იმყოფება. მესამე ადგილზე მყოფ „ხვამლს“ 19 ქულა აქვს.

მთავარი მატჩი „ყაზგებსა“ და „არმიას“ შორის შედგა. „არმიამ“ შეძლო ლიდერის დამარცხება და ახლა ორთავე გუნდს 30-30 ქულა აქვს..ეს გუნდები არიან „დიდი 10“-ში გადასვლის რეალური კანდიდატები.

რაც შეეხებათელავში „ჭადარისა“ დასამცხე-ჯავახეთის„ტაოს“ ბრძოლას, სტუმრებმა შეძლეს მასპინძლების დამარცხება 28:42 და უნუგეშოდ დატოვეს ბოლო, მე-6 ადგილზე.

„ტაოს“ 9 ქულა აქვს და იბრძოლებს „არწივებზე“ დასაწევად.

# „მკვეთრად უარყოფითი პოზიცია გვექნება, თუკი ქარხანა კანონის დარღვევით გაკეთდება“

**ალიონი.** ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინა.

მოსმენაზე საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **ლავრენტი ბიგვავამ** ერთ-ერთი მოქალაქის მიერ გამოგზავნილი მესიჯი გაახმოვანა:



–„ე*ს მესიჯი მე გამომიგზავნეს და აინტერესებთ ჩემი აზრი ოზურგეთში ტოქსიკური ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით* (იგულისხმა ქ. ოზურგეთში, ექადიის უბანში, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე ინდური კომპანია „მანსარავორისა“ და შპს „არერსა მეტალის“ მიერ ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილი ფერადი ლითონების (ალუმინის, ტყვიის და ა.შ) ქარხნის მშენებლობის პროექტი). ***ოზურგეთში ტოქსიკური ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით მკვეთრად უარყოფითი პოზიცია მაქვს, თუმცა, მე ვალდებული ვარ მხარი დავუჭირო ამ პროექტს, თუკი იგი არსებული კანონის ფარგლებში ჯდება“.***

არასამთავროების, მედიის, მოსახლეობის პროტესტის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილისა და გურიის ყოფილი გუბერნატორის ზურაბ ნასარაიას ჩარევის შემდეგ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2 თვით გადადო ქარხნის მშენებლობის გზშ-ს ანგარიშის განხილვა.

# „საერთაშორისო ინიციატივა - თანამონაწილეობისთვის“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ლატვიის, ლიეტუვის, პოლონეთისა და უკრაინის მუნიციპალიტეტებთან ახალ, საერთაშორისო პროექტებს გეგმავს.

მრავალმხრივი პარტნიორობის განმტკიცებისა და მომავალი გეგმების შესახებ პრეილის (ლატვია), ნიჟინის (უკრაინა) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა, დღეს, ონლაინ კონფერენციაზე ისაუბრეს.

ონლაინ კონფერენციის მიზანი იყო: გამოცდილების გაცვლა, მრავალმხრივი

ურთიერთობების განმტკიცება, თანამშრომლობის გაფართოება, ახალი პარტნიორობის დამყარება და თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა.

შეხვედრის ორგანიზატორი ამჯერად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი იყო.

ონლაინ პრეზენტაცია ოზურგეთის კულტურული,შემოქმედებითი და ტურისტული პოტენციალის გაცნობას მიეძღვნა.

ოზურგეთის ადმინისტრაციას შეხვედრაზე მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი გია მამაკაიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, დავით დარჩია, საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელი ნანა თავდუმაძე და საკრებულოს დეპუტატი ლავრენტი ბიგვავა წარმოადგენდნენ.

შეხვედრაში მონაწილეობენ ლატვიის, ლიეტუვას, პოლონეთის, უკრაინის, საქართველოს მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეხვედრის ბოლოს გაიმართა პანელური დისკუსია - "საერთაშორისო ინიციატივა - თანამონაწილეობისთვის - პერსპექტივები და შესაძლებლობები. "

მონაწილეები შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე და თანამონაწილეობით პროცესების გააქტიურებაზე.

# ოზურგეთის „მერცხალი“ მე-5 ლიგის „ბ“ ჯგუფში ბოლო ადგილზეა

ერთ დროს საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, ოზურ-გეთის „მერცხალი“, რომელიც საქართველოს 3-გზის ჩემპიონი და 2-გზის თასის მფლობელი იყო, 2-ჯერ გაიმარჯვა იმჟამინდელი სსრკ-ს მე-2 ლიგის ჩემპიონატში, იყო საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის (უმაღლ-ესი ლიგა) მონაწილე,დღეს საქართველოს პირველობის მე-5 ლიგის „ბ“ ჯგუფის ბოლოადგილოსანია. რომ არა ბოლო, მე-10 ტურში ოზურგეთში, ასევე აუტსაიდერ, ხულოს „ხიხანთან“ (3:1) გამარჯვებისა, ქულის გარეშე ამთავრებდა ჩემპიონატს...



„ბ“ ჯგუფის გამარჯვებული „მერანი 2 მარტვილი“ გახდა –27 ქულა; მე-2 ადგილზე –„მაჭა-ხელა“– 24 ქულა; მე-3 „შუქურა 2“ –15 ქულა; მე-4 „სამგურალი 2“ –13 ქულა; მე-5 „ხიხანი“–7 ქულა; მე-6 „მერცხალი“ –3 ქულა.

**„მერცხალმა“ 9 ტურში წააგო, აქედან 6 შემთხვევაში – დიდი ანგარიშით, გაიტანა 11 ბურთი და საკუთარ კარში 37 ბურთი მიიღო.**

„მერცხალის“ შეხვედრები და შედეგები:

3.09, 2020 წ. „მაჭახელა“–„მერცხალი“5:1;
1.02. 2021 წ. „მერცხალი“–„მერანი 2“ მარტვილი –1:4;
6.02. 2021 წ. „მარცხალი“– „სამგურალი 2“ 1:4;
11.02. 2021 წ. „შუქურა 2“ –„მერცხალი“ 2:0;
22.02. 2021 წ. „ხიხანი“–„მერცხალი“ 2:1;
25.02. 2021 წ. „მერცხალი“ –„შუქურა 2“ 2:3;
3.03. 2021 წ. „მერცხალი“ –„მაჭახელა“ 0:3;
8.03. 20221 წ. „სამგურალი 2“ –„მერცხალი“ 7;1:
13.03. 2021 წ. „მერანი 2“მარტვილი –„მერცხალი“ 6:1;
18.03. 2021 წ. „მერცხალი“–„ხიხანი“ 3:1.

# „რიონის ხეობის გადარჩენისათვის ბრძოლაში პარტიების ჩაბმას არ ვაპირებთ“.



საზოგადოება პროექტის ავტორებს ედავებიან, რომ ნამახვანის ჰესების პროექტი გაცილებით ბევრად უფრო ნაკლები სიმძლავრის მიწისძვრაზეა გათვლილი, ვიდრე ეს მოხდა რაჭაში 1991 წელს, რაც ძალიან დიდი რისკის შემცველია მთლიანად რიონის ხეობის მოსახლეობისათვის. ადგილობრივი მოსახლეობა შიშობს, რომ ლეჩხუმში, ტერიტორიის დატბორვის შედეგაც მოსალოდნელია კლიმატის შეცვლა და ძვირფასი ქართული ვაზის ჯიშის „ცოლიკოურის“ და „უსახელოურის“მიკროზონის ყურძნისა და ღვინის ხარისხი დაკარგონ. გარდა ამისა ხეობაში ათეულობით ოჯახი დაემშვიდობება თავიანთ საცხოვრისს და მამა-პაპათა საფლავებს.

ეს მცირე ექსკური იმისთვის გავაკეთეთ, რომ ჩვენს მკითხველებს გარკვეული ინფორმაცია ჰქონდეს, თუ რას აპროტესტებს რიონის ხეობის მცველები.

რიონის ხეობის ერთ-ერთ მცველს, ახალგაზრდა თეოლოგ **ვარლამ გოლეთიანს** ვესაუბრეთ:

—*თავიდანვე ვიყავი ჩაბმული რიონის ხეობის გადარჩენისათვის ბრძოლაში. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ არ გვეძლეოდა საშუალება გავცნობოდით ხელშეკრულების პირობებს, რომელიც კონფიდიციალური იყო და ისეთი კაბალური პირობები იდო მასში, არ ასაჯაროებდნენ. მოსახლეობის დიდი საპროტესტო მუხტის შემდეგ იძულებული გახდნენ გასაჯაროებული ყოფილიყო ხელშეკრუ-ლების პირობები. მადლობა გვინდა ვთქვა, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტ მეუფე სტეფანეს (კალა-იჯაშვილის) მიმართ, რომელიც ამჟ-ამად ჭყონდიდის ეპარქიაში მოღ-ვაწეობს, რომლის ლოცვით ვძლი-ერდებოდით. ასევე გვერდით გვიდგას მამა ელიზბარი (ბაბუხარდია)... ლო-ცვის გარეშე ბრძოლას აზრი არ აქვს.*

*ჩვენ ჩვენი მოთხოვნები გვაქვს...ჩვენი ბრძოლის ერთ-ერთი პრინციპია, რომ რომ რიონის ხეობის გადარჩენისათვის ბრძოლაში პარტიების ჩაბმას არ ვაპირებთ. ვემიჯნებით ყველა პოლიტიკურ პარტიას — **ჩვენ ვართ სახალხო მოძრაობა**.შესაძლოა, რომელიმე პარტია (საუბარია ეროვნული სულის პარტიებზე) მისაღები იყოს, მაგრამ შემდეგ სხვებისთვისაც მოგვიწევს ანგარიშის გაწევა.ა მჟამად ყველა სახის სამშენებლო სამუშაოები გაჩერებუ-ლია—გვითხრა მან.*

**მამა ვახტანგმა (თოხაძე)** აღნიშნა, რომ ღმერთს ჰყავს თავისი ხალხი, მთავარია ქრისტიანობაში ერთობა და ასეთ ბრძოლაში საჭიროა სისუფთავე.

მან მადლობა გადაუხადა ხეობის მცველებს სამშობლოსათვის თავდადებისთვის.

ლალი ეფრეიძე ერთ-ერთია ხეობის მცველებიდან, რომელმაც მიუხედავად შემლეული მაღალი ფასისა, საკუთარი მიწის ნაკვეთი არ გაყიდა და ახლა აქ ბანაკია მოწყობილი.. 4 კარავია დგას ამჟამად მდინარე რიონისწინა ფერდობზე.

—*ოზურგეთელი გარემოსდამცველები, გურიის საზოგადოების ათეულობით წარმომადგენელი ქუთაისში გამართულ საპროტესტო აქციებშიც ვმონაწილეობდით და ახლა აქაც ვართ რიონის დამცველთა ლაშქარში. ახლა ხედავთ სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს, მაგრამ ყურადღების მოდუნება არ შეიძლება* — გვითხრა ჯუმათელმა (იანეთი) **ზურაბ სარიშვილმა.**

ამჟამად კიდევ ორი ოზურგეთელი გიორგი ერისთავი და გოჩა ოჩიგავა იყო ხეობის დამცველთა ბანაკში.

ხეობის ახალგაზრდა დამცველმა 19 წლის სერგი კაკაჩიამ სამშენებლო პოლიგონიც გვაჩვენა, დაბურღული და ასაფეთქებლად გამზადებული ბუნებრივი გამოქვაბული, ქანები, ჩაკეტილი ჩანჩქერი, რომელიც საერთოდ გაქრება და პოლიციის საგუშაგო, რომლის იქით აღარ გიშვებენ..




# ანგარიშები, შეფასებები, დადგენილებები



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიუტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, სამი დღის განმავლობაში (23-24-25 მარტი) ისმენდნენ სხვადასხვა სამსახურების მიერ შარშან გაწეული საქმიანობის ანგარიშებს.

საკრებულომ დადებითად შეაფასა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტაციული სამსახურის; იურიდიული სამსახურის; სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის; საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის; მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის; საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის; მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა დაბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის; მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის; მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის; მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის; მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის; მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის; მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის; მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული საქმიანობის ამსახველი ანგარიშები.

ცვლილება შეიტანეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ( 2 და 3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №1 დადგენილებაში.

მიიღეს დადგენილებები:

— „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“;

— „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტო-რინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“;

— „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის გათვალისწინებით „ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ.

# პროფესიონალის მომზადებული მაინც სულ სხვაა



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის თავკაცმა გიორგი ინწკირველმა, მოხსენება თავისი სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23 მარტის რიგგარეშე სხდომაზე გააკეთა.

მოხსენება იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, აზრად არავის მოსვლია გამომსვლელისთვის რეგლამენტი შეეხსენებინა. დეპუტატებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ეს იყო პროფესიონალურ დონეზე მომზადებული ანგარიში.

როცა ამ წერილზე ვმუშაობდი, მომხსენებლის წერილობით ვარიანტსაც გავეცანი და უკან უნდა წავიღო რეგლამენტის დარღვევაზე დაცდენილი სიტყვა. ხსენებული სამსახურის ოთხივე განყოფილების (საქმის წარმოების, სტატისტიკისა და ადგილობრივი არქივის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის) საქმიანობა იმდენად შრომატევადია, ახლა ის მიკვირს, როგორ ასახა ბატონმა გოგიმ ეს ყველაფერი ასე სრულყოფილად 10 გვერდში.

დამსწრე საზოგადოებამ და მოხსენების პირდაპირ ეთერში მხილველმა მაყურებელმა მართლაც საჭირო და ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

არანაირი პრეტენზია არ მაქვს საკრებულოს სხდომაზე სხვა სამსახურების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიმართ, მით უფრო, რომ ყველა დადებითად შეფასდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ადმინისტრაციული სამსახური საქმისადმი პროფესიონალური მიდგომით, შესრულებული სამუშაოს მაჩვენებლით, მოქნილობით, კოორდინებულობით, როგორც ადგილობრივ წარმომადგენლობით და აღმასრულებელ რგოლებთან, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან კომუნიკაბელობით საუკეთესოა მერიაში.

# ამონარიდები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშიდან



მუნიციპალიტეტის მერის **კონსტანტინე შარაშენიძის** თქმით, მიუხედავად ეპიდვითარებისა, 2020 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მაინც შეძლო საკუთარი პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება.

### ბიუჯეტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 26 011 600 ლარით. III კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 43 917 800 ლარი.

2020 წელს 19 250 000 ლარის ღირებულების 124 პროექტი განხორციელდა.

აღმასრულებელმა ორგანომ საკრებულოს წარუდგინა 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც 25 104 000 ლარით განისაზღვრა. **პრიორიტეტული მიმართულებები: ინფრასტრუქტურის განვითარება; დასუფთავება და გარემოს დაცვა; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.**

### სამოქალაქო ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის მერია მე-2 წელია ახორციელებს სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტს **„იყავი თანამმართველი“**, რომლის საშუალებით პირველად ქალაქ ოზურგეთში, მოქალაქეები, ხმის ელექტრონული ვაუჩერებით ინფრასტრუქტურულ პროექტებს აფინანსებენ. პროექტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი განსხვავებული ფორმატით ახორციელებს და დღეისთვის მას ანალოგი არ აქვს.

მოსახლეობის გადაწყვეტილებით გამოვლინდა 10 გამარჯვებული პროექტი.

**„იყავი თანამმართველის“ მხარდამჭერები არიან ფონდი „ საქართველოში“, „პროგრესის სახლი“ და გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი“.**

### ინფრასტრუქტურული პროექტები

ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, შეიცვალა ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების გრაფიკები. 2020 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიმდინარეობს **9 471 353** ლარის სამუშაოები.

— სრულდება სენაკი-ფოთი-სარფის საერთაშორისო მნიშვნელობის გზიდან ეკალდიდი-დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

**— დასრულდა სოველ ბოხვაურის ცენტრის გავლით შემოქმედი-ცხემლისხიდის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (4 996 მ).**

**— დასრულდა მდ. ბჟუჟის ხიდიდან ყაზბეგის ქუჩის (მაკვანეთის საზღვრამდე) დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

**— დასრულდა ქალაქ ოზურგეთში, გოთუას ქუჩისა და ჯავახიშვილის ქუჩის II შესახვევის გზის რეაბილიტაცია.**

**- დასრულდა ქ. ოზურგეთში, ბარათაშვილის ქუჩის I ჩიხის, ბარათაშვილის ქუჩის II შესახვევისა და ნიკოლაძის ქუჩაზე საბავშვო ბაღის მოპირდაპირედ გზის მონაკვეთის მოასფალტების სამუშაოები.**

**— დასრულდა ქალაქ ოზურგეთში ლომთათიძის ქუჩის რეაბილიტაციისა და ლომთათიძის ქუჩის I შესახვევის მოაფალტება.**

**დასრულდა სოფელ შემოქმედში ეკლესიისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.**

**დასრულდა ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ჯუმათის ცენტრის გავლით ბოგილას გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.**

**— მოასფალტდა ასკანის თემში სოფელ მზიანის შიდა გზა.**

**— მიმდინარეობს სოფელ ნაღობილევის (№4 უბანი) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.**

**— დასრულდა მთისპირი-ასკანის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.**

**— დასრულდა ქ. ოზურგეთში სიმონიშვილისა და ბერი გაბრიელის ქუჩების რეაბილიტაციისა და გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის ერისთავის ქუჩის კვეთამდე გზის რეაბილიტაციისა და ერისთავის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობის სამუშაოები.**

**— დასრუდა კურორტ ურეკის გზის (უსკაკალეიკის) რეაბილიტაცია.**

**-მიმდინარეობს ბესიკის ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია (705 გრძივი მეტრი).**

**—მიმდინარეობს სოფელ მაკვანეთში ჭალის უბნის გზის რეაბილიტაცია (1745 გრძივი მეტრი).**

**— მიმდინარეობს სოფელ გურიანთაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (1813 გრძივი მეტრი, გარდამავალი პროექტი).**

**— მიმდინარეობს დაბა ნასაკირალში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (2960 გრძივი მეტრი).**

**— მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალი პროექტებია, უკვე დასრულებულია სოფელ დვაბზუში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია და სოფელ ბოხვაურში გზის რეაბილიტაცია.**

**— მიმდინარეობს დაბა ნასაკირალში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები.**

**— დასრულდა ანასეულის დასახლებაში მეცნიერების ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობა.**

**— დასრულდა ქ. ოზურგეთში, სანაპიროს ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები, ქალაქ ოზურგეთის ქუჩებში( შევცენკო, პუშკინი, ყაზბეგი) ასფალდ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.**

**— შესრულდა ქ. ოზურგეთში, ვახტანგ ბლაგიძის სახელობის სპორტული დარბაზის სახურავის და გვერდითი ფასადის შეკეთების სამუშაოები.**

**— შეძენილ იქნა ასკანის ადმინისტრაციული ერთეულის კლუბის იატაკის მოსაწყობად სამშენებლო ხის მასალა.**

**— გადაიხურა სოფელ მერიაში (ხვარბეთი) საბავშვო ბაღის შენობა.**

**— დასრულდა სოფელ ჭანიეთში, სკოლის მიმდებარედ, სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები.**

**— 2019 წელს დაიწყო და 2020 წლის დასაწყისში დასრულდა ქ. ოზურგეთში ოთხი მრავალბინიანი (თორმეტსართულიანი) საცხოვრებელ სახლებში არსებული ლიფტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სახელშეკრულებლო ღირებულებით 156 998,72 ლარი.**

**— მომზადდა სილაურში, ჭახვათაში და ვაკიჯვარში ახალი სახიდე გადასასვლელის სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადების მომსახურების შესყიდვა.**

**— დასრულდა ანასეულის დასახლებაში, მეცნიერების ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები**

**— შესრულდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასფალტ-ბეტონის გზის საფარზე ორმული შეკეთების სამუშაოები, დამონტაჟდა ვიდეოსამეთვალყურეო კამერები.**

**— დასრულდა სოფელ ლიხაურში (აჭის უბანში) გარე განათების მოწყობის სამუშაოები.**

**— შესრულდა ქვემო ნატანების (მე-17 ბრიგადა) სასმელი წყლის შიდა ქსელი მოწყობის სამუშაოები.**

**— დასრულდა ქ. ოზურგეთში ჟღენტის №14-ში უსახლკაროთა თავშესაფარის შენობის საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

**— ზღვისპირა საკურორტო ზონაში განსათავსებლად შეძენილ იქნა 260 ნაგავშემკრები კონტეინერი.**

**— დასრულდა ქ. ოზურგეთში, წულაძის ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია; სოფელ ლიხაურში (აჭის უბანი) საუბნო გზის რეაბილიტაცია.**

**— მოასფალტდა ქალაქ ოზურგეთში დუმბაძის პირველი შესახვევი.**

**— დასრულდა ანასეულის დასახლებაში, უნივერსიტეტის №12-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადების მოპირკეთების სამუშაოები; გურიანთაში, სოფელ მერიაში, შრომაში და ნატანებში ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოები.; გრიბოედოვის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები.**

**— წერეთლის ქუჩის სავალი ნაწილისა და ლერმონტოვის ქუჩის შესახვევის რეაბილიტაცია.**

**— შეკეთდა დაბა ნარუჯის სტადიონი.**

**— კაპიტალურად შეკეთდა ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმის შენობის სახურავი.**

**— შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის 32 ერთეული ატრაქციონი.**

**— დასრულდა დაბა ლაითურში (მე-2 და მე-4 რაიონები) გარე განათების მოწყობის სამუშაოები; დაბა ნარუჯაში საცხოვრებელი კორპუსის გარე საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები.**

განხორციელების პროცესშია 10 ინფრასტრუქტურული პროექტი.

### ამბულატორიები

2020 წელს დასრულდა ახალი ამბულატორიების მშენებლობა დაბა ნასაკირალსა და სოფელ გურიანთაში.

დასრულდა „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ეზოს კეთილმოწყობისა და დამხმარე შენობა-ნაგებობების სამუშაოები — სახელშეკრულებო ღირებულება 123 243,16 ლარი.

საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია

მომზადდა 18 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია. სულ დაიგეგმა 197 677,94 სალრის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება. სამუშაოები დასრულდა ვაკიჯვრის, ასკანის, მთისპირის, ბაილეთის, ნარუჯის, ძიმითის, ნაღობილევის, მაკვანეთის, მელექედურის, მერიის, ქ. ოზურგეთის №9, №1, ნატანების, თხინვალის, შრომის საბავშვო ბაღებში. შესრულებულია 130 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. სამუშაოები გრძელდება შემოქმედის, გურიანთის, ქ. ოზურგეთის №3, ლაითურის №1 და №2 ბაღებში.

როგორც ქალაქად, ისე სოფლად გატარდა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები, შესრულდა საჯარო სკოლების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ყველა სოფელსა და დაბაში განხორციელდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა. მასშტაბური პროექტები განხორციელდა და ხორციელდება წყალმომარაგების სისტემაში.

გაზიფიცირების სამუშაოები განხორციელდა 19 სოფელში.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებისთვის 2020 წლის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 1 670 ლარით. მიმდინარე წელს მერიაში მოქმედებდა 15 სახის პროგრამა.

1069 შეჭირვებული მოქალაქე, რომლებმაც განცხადებით მიმართეს მუნიციპალიტეტის მერიას სამედიცინო მომსახურების, ოპერაციული მკურნალობის, ძვირადღირებული მედიკამენტების, ერთჯერადი ფინანსური დახმარებისთვის, სარიტუალო ხარჯების დაფინანსების მიზნით და ვერ სარგებლობდნენ ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამებით, დაფინანსდა მერის სარეზერვო ფონდიდან.

კულტურის ხელშეწყობა, ზოგადი განათლების ხელშეწყობა, გენდერული პოლიტიკა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა, სპორტის განვითარება, სკოლამდელი აღზრდა, პანდემიასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებები, ეკონომიკური განვითარება, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ინოვაციური პროექტი „მოძრავი საინფორმაციო ცენტრი ბორბლებზე“, საინფორმაციო სარეკლამო ტურები, მოსახლეობის საკონსულტაციო მომსახურება და მისი ინფორმირებულობის გაზრდა, მმართველობის პოლიტიკა — მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობა, ახალი ელექტრონული სისტემა, მყარი ნარჩენების მართვა, საერთაშორისო და მუნიციპალიტეტშორისი თანამშრომლობა — ეს ის თემებია, რომელიც იყო და არის მუნიციპალიტეტის მერიის ყურადღების ცენტრში.



ექსკლუზივი

# ნასაკირალის კრიმინალური ქრონიკა

მამუკა გოგუაძე

დასაწყისი იხ გაზ. „ალიონი“ №№ 34-36 2020 წ. №№ 1-6, 2021 წ



ათის ნახევარი იქნებოდა სახლიდან რომ გავიდნენ. მანქანების მოძრაობა შეზღუდული იყო დიდთოვლობის გამო. გზაზე გავიდნენ თუ არა, ავტობუსი გამოჩნდა, გააჩერეს და ჩასხდნენ. ავტობუსში მხოლოდ ერთი ხანშიშესული კაცი იჯდა. ქალაქში ჩასვლამდე სულ ცოტა მანძილი რჩებოდა, ოვანესმა გზის პირას გაჩერებული ტაქსი შენიშნა, მძღოლს ავტობუსი გააჩერებია, თანხა მიაწოდა, ხურდა დაუტოვა და მადლობით დაემშვიდობა. სამივენი ტაქსში გადასხდნენ.

— რამდენად წაგვიყვან ნატანებში?

— ოო, ახლა თოვლია და ცოტა...

— ვიცი, მეგობარო, რომ თოვლია და მოძრაობაც ჭირს, წაგვიყვანე და გულს არ შეგაკლებ ფულზე.

— კაი ხალხი ჩანხართ, წავედით.

ნატანებში, ცენტრამდე დაახლოებით სამას მეტრში ოვანესმა მანქანა გააჩერებინა ფული მიაწოდა სანამ მძღოლი ხურდას მოძებნიდა, სამივენი გადმოვიდნენ მანქანიდან. ნელი ნაბიჯებით გასწიეს წინ და, როცა ტაქსი თვალს მიეფარა, ოვანესმა მარჯვნივ გადაუხვია და ერთ სახლთან შეჩერდა.

— არონ, არონ! — რამდენჯერმე დაიძახა.

გამოიხედა მასპინძელმა და ოვანესის დანხვაზე ცოტათი შეცბა, ფეხათრევით გარეთ გამოვიდა და სტუმრები სახლში შეიპატიჟა.

— რამდენი წელია არ მინახიხარ, დაგენაცვლე, როგორ ხარ, სად ხარ? რაღაც გაგიჭირდა, ეტყობა.

— არონ, ეს ჩემი მამიდაშვილია, ეს მისი საცოლე, რუსეთში ვუშვებ ამათ, საცხოვრებლად გადადიან იქეთ. ჩემზე და სხვა ამბებზე მერე ვისაუბროთ. ახლა საქმეზე. ცოტა ძვირფასეულობა მაქვს, უნდა წაიღო და მიხედო.

— ვიცი, რა საქონელიც იქნება. აქაურია?

— არა. გახსოვს, არონ. როგორ გედექი გვერდით, გწეწავდნენ და ყველა ჩამოგაცილე? სამაგიეროდ ხომ არ მომითხოვია? ახლა კი შენ უნდა დამიდგე გვერდით.

— ეთერ, სტუმრებს მიხედე. — გასძახა არონმა მეუღლეს.

შემოვიდა არონის მეუღლე, მდაბლად მიესალმა სტუმრებს და ლუბა და გარუნი სამზარეულოში მიიწვია.

— არონ, ეს უმაღლესი ხარისხის ბეჭდებია თითო ერთკარატიანი ბრილიანტის თვლებით. ამის ფასი იცი შენ. აქ 20 ასეთი ბეჭედია, ათი ცისფერთვლიანი ბრილიანტის ყელსაბამია კიდევ. რამდენს გადაიხდი ძველი ძმობის სანაცვლოდ? ფული მჭირდება სასწრაფოდ.

— ოვანეს, ამის ფული არ მაქვს. ეს ძალიან დიდი თანხაა.

— ნუ ვივაჭრებთ, არონ. გითხარი, ფული მჭირდება.

ოვანესი თან ფიქრობდა, რომ არონი აუცილებლად იქნებოდა შეკრული მილიციასთან და რაც შეიძლება, ადრე უნდა მოეთავებია ეს საქმე. თუ ფულს ახლავე აიღებდა, უკეთესი იქნებოდა, თავს დააღწევდა აქაურობას და ნაკლები შანსი იყო, სამართალდამცავებს გაეგოთ ეს ამბავი. ამიტომ მკაცრად მიმართა:

— არონ! შენ ჩემი ვალი გაქვს. ახლა გთხოვ, თან საქონელს გაძლევ. ფული მჭირდება.

წამიერად ფიქრს მიეცა არონი. ამ საქონლის რეალიზაციით ხომ არხეინად იცხოვრებს, მაგრამ მეტად სარისკოა. რომ გასკდეს, ციხე გარდაუვალია, მაინც რისკი ამჯობინა და უთხრა:

— ოვანეს, დაგენაცვლე, ეს ძალიან დიდი ფულის საქონელია. მე ავიღებ იმდენს, რამდენის გადახდაც შემიძლია, მაგრამ დროს რამდენს მაძლევ?

შეატყო ოვანესმა, იტყუებოდა ვაჭარი და ტკბილი ხმით ყელში წაუჭირა. შეახსენა, რომ ყმაწვილკაცობაში ორი ადამიანი მძიმედ დაჭრა მისი გულისთვის და ერთწლიანი „პაბეგიც“ აიკიდა. მართალია, საქმის შეწყვეტის ხარჯები არონმა იკისრა, მაგრამ... დრო არ ითმენდა.

არონმა შუაზე გაყო ძვირფასეულობა და ოცი ათასი მანეთი დაადო ფასი.

— არონ, ატრაკებ. აქ ყველაზე ცოტა, ნახევარი მილიონის „ტავარია“ და მის ნახევარში 20 ათასს იხდი?

ოვანესი მზად იყო, დაებრიდა არონი, მაგრამ ამით ვერც ფულს აიღებდა და საქმეც დაიწვებოდა. შეატყო არონმა გაბრაზება, მაგრამ უკან დახევას არ აპირებდა, იცოდა, ძალიან უჭირდა ოვანესს და ამ ფულზეც ყაბულს იქნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ თოვლში არ მოვიდოდა.

— არონ, მისმინე კარგად. ამ საქონელს აიღებ ყველას და 100 ათასს მოსცემ, თორემ იცი ჩემი ამბავი, არ დაგინდობ.

მოტყდა ვაჭარი. გაახსენდა დაუნდობელი ოვანესი, თვალებში შეხედა და მიხვდა, თუ რაიმე მისაღებზე არ შეთანხმდებოდნენ, იგი მას ხელის აუკანკალებლად მოკლავდა. გაახსენდა ყველაფერი...

— ოვანეს, მე ამდენი ფული საიდან?

— რამდენი გაქვს?

— სახლში არაფერი.

— როდის მოვიდე?

— ათ დღეში.

— ზუსტად ზეგ ჩამოვალ, აქ უნდა შევხვდე ერთ ნაცნობს 8-დან 10 საათამდე და 50 ათასი დამახვედრე. დანარჩენის მოცემის დროს შემოგითვლი. თუ ჩავვარდი, ფული იყოს შენთან, თუ დამბრიდეს და გაიგე, ცოლ-შვილი მე არ მყავს და შენი იყოს ის მაყუთი. ხმა, კრინტი არავისთან! ახლა წავალ, ეს წყვილი ორი დღე შენთან იქნება. მე კი, როგორც გითხარი, ზეგ მოვალ. ათასი მანეთი მომეცი და წავედი.

ადგა არონი, უცებ გამოუტანა ათასი მანეთი.

— ა, შენ ხუთასი მანეთი, სტუმრები არ დაამშიო, იცოდე, უცხოებს მოარიდე. — მოუჭრა ოვანესმა და ფული მაგიდაზე დადო.

საუზმე გამზადებული იყო, მაგრამ ოვანესი არ დარჩა. გარუნი გაიხმო და უთხრა, ხვალ ჩამოდი, მოვწესრიგდეთ და ავიბარგოთ აქედანო...

ფეხით აუყვა ნატანების ცენტრისკენ მიმავალ გზას. ქუდჩამოფხატული და ყელზე კაშნეშემოხვეული ნელი ნაბიჯებით უახლოვდებოდა რკინიგზის სადგურს. ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში აქა-იქ ისხდნენ მატარებლის მომლოდინე მგზავრები და სასადილოს კლიენტები. იგრძნო, რომ იქვე მდგომი ოთხი ახალგაზრდიდან ერთმა გამჭოლი მზერა გამოაყოლა. ყურადღება არ მიუქცევია, არც შეუხედავს მათთვის, პირდაპირ სალაროსთან მივიდა.

— ოთხი ბილეთი მოსკოვამდე.

— წინასწარ რომ იღებთ, ჯავშნისაც უნდა გადაიხადოთ.

— სულ რამდენია?

— ორასი მანეთი, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთ კუპეში არ არის ყველა ადგილი.

— იქნებ როგორმე, ქალბატონო! — დაელრიჯა მოლარეს, შესაშურად მოირგო მსახიობის როლი და ხუთი ორმოცდაათმანეთიანი მიაწოდა.

— ვეცდები, ბატონო. — გაუღიმა მოლარემ...

თხუთმეტ წუთში ოვანესი უკვე „ვილისში“ იჯდა და სოფლისკენ მიდიოდა ღრმა ფიქრებში ჩაფლული...

გარუნი სოფელში შებინდებისას დაბრუნდა, ისე, როგორც ოვანესმა უთხრა.

— გარუნ, გავასწროთ უნდა აქედან, ჟღენტმა შეკრა წრე ჩვენს ირგვლივ. გვითვალთვალებენ ისეთებიც, რომელთაც მილიონჯერ პატივი ვეცით.

— რა იცი? ვინ გითხრა?

— გუშინ საღამოს ჯემალი იყო ჩემთან, მომიყვა ყველაფერი. ჟღენტს საათობრივი თვალთვალი ჰქონია დაწესებული ჩვენზე. ჯემალიც ამ სიაში ყოფილა, რაღაც დროში მასაც ევალება თურმე ეს საქმე.

— ენდობი ჯემალს? იქნებ მოაგზავნა?

— არა, შევამოწმე, სუფთაა. მითხრა, დამავალა, დაგიჭერ, რომ არ გააკეთოო. სხვისგან რომ გამეგო, იცოდა, შარში იქნებოდა და თავისით მოცუნცულდა აქ. კიდევ გავატანე ის ჩასაცმელები, თოვლი რომ ადნება, შენიანებს აუტანე-მეთქი სოფელში, ცოტა ფულიც ვაჩუქე. ამ დილითაც წაიღო ნაწილ-ნაწილ ტანსაცმელები. ვუთხარი, ბაკურიანში წავალთ და როცა ირინას მოსწყინდება, ჩამოვალთ-თქო. ჯობია, ასე იცოდეს. იქნებ უთვალთვალებენ მასაც მისნაირი ბოზები და აიყვანონ ჩვენი წასვლის შემდეგ. გვეძებონ ბაკურიანში. მაინც რამ გაამწარა ეს ჟღენტი, ასე რომ დაგვდევს. გუშინ იყო და წაგებული მოვიტანეო, მითხრა, დღესაც გამომეცხადა, ცოტა დალია კიდეც. ნაღდად ჩვენს „სროკზე“ გაშვებას აპირებს და „პოვოდს“ ეძებს. იქნებ „ქსივა“ არის მოსული როსტოვიდან საიუველიროს ძარცვაზე? ამ ბოზმა ნაღდი პასპორტი აჩვენა. რატომ? ეს ვერ ავხსენი, რატომ? იმის შემდეგ ხომ ორჯერ მოვიდა ჟღენტი. რაღაცას ფიქრობს, იქნებ რაიმე დაყნოსა. მოკლედ, დღეისთვის ოთხი ბილეთი აღებული მაქვს და მატარებლით მივდივართ. „პოლტავსკი“ სამარეში არ მომასვენებს, დამბრედს ამ ძვირფასეულობისთვის. ძლივს გადმოტანილი, უკან უნდა წავიღო. ჯემალი უეჭველ გადაყვანას მპირდებოდა მთის ბილიკებით, შენც წაგიყვანდი თუ გინდოდა. მაგრამ დიდი თოვლია და მაისამდე არ ადნებაო, გამორიცხა ახლა თურქეთში გადასვლა. ერთი სიტყვით, ამ ჩემოდანში ხუთი მილიონამდე ღირებულების ძვირფასეულობა მაინც იქნება. მეოთხედი ირინას იყო, საიდანაც მეც მეკუთვნის წილი ისევე, როგორც დანარჩენი სამი მეოთხედიდან. — ჩემოდანი გახსნა, — გარუნ, ძმაო, ეს შენ გეყოფა, მაგრამ ფრთხილად იყავი, — ერთი მუჭა ნაკეთობები მამიდაშვილს გადასცა, — არავითარ შემთხვევაში ქალს არ მისცე, ის აუცილებლად შეიბნევს ხელზე ან ყელზე და შარში გაეხვევი. ფულსაც მოგცემ, სანამ რეალიზაციას მოახდენ შიმშილით რომ არ მოკვდე. შემდეგ არ დაიბნევი. ახლა მომეხმარე, რომ დარჩენილი ძვირფასეულობა წელზე შემოვიხვიო.

გარუნიც მიეხმარა. როსტოვის საიუველიროდან გატანილი ძვირფასეულობა ოვანესმა შიშველ ტანზე გადაიკრა და გადაიბინტა, მერე ჩაიცვა მაისური, თბილი პერანგი, მაღალყელიანი ჯემპრი და გარუნს მიუბრუნდა.

— ეს ნივთები ნაჭერში გაახვიე, გამონასკვე, პალტოს ჯიბე გაჭერი და შიგ ჩააგდე. ჩემოდანი ცეცხლში დაწვი, თუ რამე საეჭვო ნახო, ღუმელში შეუძახე. მაგიდას არ მიეკარო, ისე იყოს, როგორც არის. მანქანა სოფელში არ ამოვიყვანე, რვა საათისთვის გზაზე დაგვხვდება და წავალთ. მთავარია, ჟღენტი არ გადაგვეყაროს. თუ ასეთი მოხდა...

— რომ გადაგვეყაროს?

— დროს წაიღებს მასთან ლაპარაკი. იქნებ ვინმე თან ახლდეს, სად არიან გოგონებიო, მკითხავს და ეს ყველაფერი შარია. თან მოკლეზე დადის ჩვენსავით, გზაზე რომ გავიდეს და მანქანა ნახოს, ძაღლია, სუნს აიღებს, მაშინვე მიხვდება, რომ ჩვენ გველოდება და ბევრი უსიამოვნო წუთის გადატანა მოგვიწევს. დავისვენოთ და ერთ საათში გავიდეთ...

ოვანესმა კიდევ ერთხელ მოავლო თვალი თავის სახლს, ნაღვლიანი თვალებით უყურებდა ყველა კუთხესა თუ ნივთს. გაახსენდა ბავშვობა და ადრე გარდაცვლილი მშობლები, რომლებიც აქ სამუშაოდ ჩამოვიდნენ და შემდეგ საცხოვრებლად დარჩნენ. ფიქრობდა, კიდევ როდის ნახავდა აქაურობას და ნახავდა კი? პირველად და უკანასკნელად ღაპა-ღუპით გადმოცვივდა ცრემლები.

— გავედით. — მკაცრად თქვა ოვანესმა.

— გავედით.

გამოვიდნენ გარეთ. ოვანესმა კარი დაკეტა, ძაღლს საჭმელი დაუყარა, მოეფერა და შეშის საჩეხიდან მომცრო ნაჯახი აიღო, ყოველი შემთხვევისთვის, წელში გაირჭო და ეზოდან გადმოვიდნენ. კაციშვილი არ ჩანდა ირგვლივ. წავიდნენ ტყისკენ, მაგრამ არა ნაცნობი ბილიკით, არამედ სხვა მხრიდან, სადაც, ხშირი კორომის გამო, თოვლის საფარი დაბალი იყო...

— ოვანეს, ბედი არ გინდა? მგონი ჟღენტი აგვეკიდა. როგორც თქვი, ისეა საქმე, კვალში ჩაგვიდგა.

— მე ხეს ამოვეფარები. როცა გაგისწორდება, არ შეგეშლება, რა უნდა უთხრა. ხომ ვამბობდი, არ მოგვასვენებს-მეთქი, — ჩუმად, მაგრამ გესლიანად თქვა ოვანესმა.

მოდიოდა ჩაფიქრებული სოფლის რწმუნებული. ცხრა საათისთვის მილიციის უფროსს უნდა შეხვდეს. მიდის ინფორმაციის გარეშე და ფიქრობს, რა უთხრას, როცა ახალი ვერაფერი გაიგო, ჯემალ ანთიძის მზაკვრობის გარდა. წამით შეჩერდა და გაიხსენა ის მომენტი, როცა ირინამ პასპორტი მოუტანა და მიაწოდა. რატომ მისცა ხელში და რატომ თვითონ არ წაუკითხა? იქნებ მძევალია? იქნებ მიანიშნა, მიშველეო. თავი გააქნია და სწრაფი ნაბიჯით განაგრძო სიარული. სამანქანო გზაზე გასვლას 200-300 მეტრი აკლდა, როცა გარუნის ხმა ეცნო...

ვითომც არაფერი, ოვანესი და გარუნი მანქანაში ჩასხდნენ და ცხრა საათისთვის არონის სახლთან იყვნენ. შევიდნენ სახლში. არონი ელოდებოდა სტუმრებს და ვახშამიც გაწყობილი იყო. უარის თქმა არ გამოდიოდა, შემოუსხდნენ სუფრას. ძალიან უხაროდა ლუბას, რადგან ამ ერთფეროვანი ცხოვრებიდან თავის სამყაროში ბრუნდებოდა, საყვარელ ადამიანებთან ერთად.

— ერთი წუთით დაგტოვებთ, — უთხრა არონმა სტუმრებს და ოვანესი გაიხმო მეორე ოთახში. კარადის უჯრიდან ქაღალდში გახვეული ფულის დასტები დადო და ოვანესს უთხრა:

— აქ ორმოცდაათი ათასია.

— ერთი წელი არ შეგაწუხებენ. თუ ვინმე ჩემი სახელით მოვა, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ და ამ პაროლით მისცემ ფულს:

„პაპა „სერიმ“ მოკითხვა შემოგითვალა“. ამას იმიტომ გეუბნები, რომ ეს ამბავი მარტო ჩვენ ვიცით. ჩემგან ღალატი არ იქნება, შენც არ ეცადო. შეიძლება ისე წავიდეს საქმე, მოსაცემი აღარ გქონდეს არაფერი... — ისე თქვა, თითქოს სინანულის განცდამ გაიღვიძა მასში...

თერთმეტის ნახევარზე ბათუმი-მოსკოვის მატარებელი ნატანების სადგურიდან გავიდა...

24.03

კუპეში სამნი ისხდნენ — ლუბა სტარცევა და მკითხველისთვის უკვე კარგად ცნობილი ბიძაშვილ-მამიდაშვილი. წინასწარი შეთანხმებით, მხიარულად გრძნობდნენ თავს. ლუბამ მხოლოდ ერთხელ იკითხა ირინას ამბავი. როცა სერიმ მოკლედ უთხრა, ბაკურიანში დარჩება ჩემს მიკითხვამდეო, მას შემდეგ სიტყვაც არ დაცდენია ამ თემაზე.

სამ დღეში ორი მკვლელობა — თითქოს არაფერს იმჩნევდნენ ოვანესი და გარუნი. მინიშნებითაც კი არაფერს ამბობდნენ. სამტრედიას გაცდნენ თუ არა, გამცილებელი შემოვიდა და ბილეთები მოითხოვა. ოვანესმა ამოიღო ჯიბიდან სამი ბილეთი და მიაწოდა.

— თუ სხვა სადგურზე ამ კუპის მეოთხე მგზავრი ამოვა, ბოდიშს გიხდით წინასწარ, თქვენი გაღვიძება მოგვიწევს. — ღიმილით უთხრა გამცილებელმა და დასძინა, — თეთრეული თხუთმეტ წუთში ჩემთან მოიკითხეთ.

**(გაგრძელება იქნება)**

*სულთათანა*

# მონატრება

## (ეძღვნება ლატავრა სკამკოჩაიშვილის ხსოვნას)



სამი ტკივილიანი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ კიდევ ერთით ნაკლები დავრჩით...

შვილების თავდადებულმა მცდელობამ, გადაერჩინა შენი სიცოცხლე, ამაოდ ჩაიარა... მარადისობის ბინადარი გახდი.

უშენოდ მოვიდა გაზაფხული, ძვირფასო ლატავრა! როგორ გახარებდა იებისა და ყოჩივარდების გამონათება; თავს დასტრიალებდი შენი ლამაზი ეზოს ვარდებსა და იასამნებს, ყვავილებს ამრავლებდი და ყველას გვთავაზობდი კარ-მიდამოს გალამაზებას.

27 მარტს, შენმა სათაყვანო შვილებმა და უახლოესმა ადამიანებმა გაგიხსენეთ, გაზაფხულის ყვავილებით მოგილოცეთ დაბადების დღე!

მოგონებები იშლება ჩვენს თვალწინ... გვინდა გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, ულამაზესი გოგონა, მონდომებით შრომობდი დედისა და დების გვერდით — არაჩვეულებრივი სისწრაფით კრეფდი ჩაის ნაზ დუყებს, ,,ერთი ნახეთ, როგორი ყოჩაღია ჩვენი ლატავრა, იგი უსათუოდ თავს გამოიჩენსო!‘‘ — ამბობდნენ მეზობლები.

ასეც მოხდა... მუხლჩაუხრელი შრომით მალე გაგიცნო სრულიად საქართველომ!

იმ ბედნიერ დროს, როცა ჩვენს ქვეყანაში ჰყვაოდა ჩაის კულტურა, მეჩაიეობა დიდად საპატივცემულო საქმე იყო, შენი თავგანწირული შრომა კი —გმირობის ტოლფასი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შენ ლამის პოეზიად აქციე ჩაის ფოთლის კრეფა... გაგიჩნდა უამრავი მიმდევარი... პრესა და ტელევიზია დღენიადაგ აშუქებდნენ მშვენიერი ქალბატონის წარმატებებს, გსტუმრობდნენ ჩაის პლანტაციებში, გსტუმრობდნენ ოჯახში.

დამსახურებულად აგირჩიეს ქვეყნის უმაღლესი ორგანოს დეპუტატად! შესაშურმა შრომისმოყვარეობამ და თავდადებამ არაერთხელ დაგაყენა მაღალ ტრიბუნასთან, საიდანაც საინტერესოდ საუბრობდი მშობლიური რაიონის, სოფლისა და თანამოსაქმეთა წარმატებებისა და პრობლემების შესახებ...

შენს ყოველ გამოსვლას ტაშით აჯილდოებდნენ ცნობილი მწერლები, პოეტები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები!

ხალხის რჩეული ადამიანი, სამაგალითო ოჯახის არაჩვეულებრივი დიასახლისი იყავი! შენთან ერთად დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით ვიგონებთ ბატონ აბელს! გვენატრება მისი ომახიანი ხმის გაგონება, ჭირსა თუ ლხინში გამორჩეული თანადგომა. იცოდეთ, რომ ყველას ორივე გვიყვარდით! ყველას გვეიმედებოდით!

ტკივილიანი და ცრემლნარევია თქვენი მოგონება!

მშვიდად იძინეთ, ქვეყნის, ოჯახისა და ახლობლების წინაშე ვალმოხდილო ადამიანებო!

მსუბუქი ყოფილყოს თქვენთვის მშობლიური სოფლის მიწა!

**უახლოესი ადამიანები**

გაზეთ ,,ალიონის‘‘ რედაქცია თანაუგრძნობს გოჩა შანიძეს დედის **ოლიკო მენაბდე-შანიძის** გარდაცვალების გამო

# ბავშვთა და მოზარდთა მიმართ ძალადობის პრევენცია

## *მუნიციპალიტეტების ვალდებულებაა შეიქმნას ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის სამსახურები*
## *მშობლებს ვასწავლოთ რა არის პოზიტიური აღზრდა*



,,კავშირი ქალთა ცენტრი" **ძდექ-ის გურიის რეგიონული კომიტეტის** ჩართულობით, ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია ოჯახში ძალადობის და აგრეთვე ბავშვზე ძალადობის და უგულებელყოფის შემთხვევების ადრეული იდენტიფიკაცია და მათზე რეაგირების მიზნით საბავშვო ბაღის დონეზე პრევენციის მექანიზმების შემუშავება, აგრეთვე მოზარდებში სტრესის და აგრესიის მენეჯმენტის საგამანათლებლო საუბრების ჩატარება. პროფესორმა **ია ვერულაშვილმა** ისაუბრა დაფარული ფორმების გამოვლენის მნიშვნელობაზე არტ-თერაპიის მეთოდით საბავშვო ბაღის დონეზე, რაც საფუძველი იქნება ადრეულ ეტაპზე ძალადობის გამოვლენის და ოჯახში პრევენციის. ი. ვერულაშვილმა აღნიშნა, რომ ოჯახური ძალადობის დროს მსხვერპლი არის არა მარტო ქალი, აგრეთვე ბავშვი. მსხვერპლი ბავშვები კი იყოფიანორ კატეგორიად: უშუალო პირდაპირი მონაწილე ან არაპირდაპირი — დედაზე განხორციელებული ძალადობის მოწმედ ყოფნით . ბავშვი ხდება ჩაკეტილი, აწუხებს კოშმარები და შიშები, ენურეზი, წიკები, მეტყველების, ყურადღების დარღვევები.

ძალადობა გავლენას ახდენს ბავშვის განვითარების ყველა ასპექტზე: არღვევს ფიზიკურ ჯანმრთელობას, ინეტელექტუალურ განვითარებას, ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებას, სოციალურ უნარჩვევებს.

ძალადობის მსხვერპლ ორსულს უჩნდება ბავშვი ჯანმრთელობის დარღვევით, მომავალში ეს ბავშვი შეიძლება გახდეს მოძალადე. არის ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ორი ტიპი — მოძალადის ტიპი, თავს აიგივებს მოძალადესთან, რაც შეიძლება თამაშის დროსაც გამოავლინოს. მსხვერპლის ტიპი — უმწეო, უსუსურ პოზიციას ირჩევს, ვლინდება დათრგუნვა, პასიურობა, შეიძლება მანიპულირებდეს საკუთარი უმწეობით.

გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ბავშვებში ძალადობის შედეგების იდენტიფიკაცია უნდა დაიწყოს ადრეულ ასაკში, საბავშვო ბაღის, სკოლის დონეზე კონფლიქტის აგრესიის მენეჯმენტით შესაძლებელია ნაადრევ ეტაპზე ეს ფაქტორი აღმოიფხვრას მომავალში და მივიღოთ ახალგაზრდა, ჯანმრთ-ელი თაობა—— სასურველი იქნებათ უმუშაობა გაგრძელდება და მუნიციპალიტეტში შეიქმნება მულტი სექტორული სწრაფი რეაგირების ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება ფსიქოლოგით, სოციალური მუშაკით, ექიმით, და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებით.

**ეთერ ცხაკაია,** *ორგანიზაცია ,,ბავშვთა კეთილდღეობის ლიგა‘‘:* — საქართველოს კანონის — ბავშვის უფლებათა კოდექსის 96-ე მუხლმა განსაზღვრა მუნიციპალიტეტების ვალდებულება, შეიქმნას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განმახორციელებელი სოციალური მუშაკების ქსელი. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დასაქმებული უნდა იყვნენ სულ მცირე ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ინსტიტუციური თვალსაზრისით, ყველაზე უფრო ახლოს იმყოფებიან მოქალაქეების ცხოვრებასა და პრობლემებთან.

სოციალური მუშაკის კომპეტენციაა მოწყვლადი ბავშვისა და ოჯახის იდენტიფიცირება და მათი საჭიროებების შეფასება, ბავშვთა დაოჯახთან დაკავშირებული განსაზღვრული შემთხვევების მართვა, ბავშვისა და ოჯახის დაცვის და მხარდაჭერის ღონისძიებებათაგან ხორციელების კოორდინირება. სოციალური მუშაკების ვალდებულებაა გამოავლინონ საჭიროებები და ადვოკატირება გასწიონ მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილების მიმღები პირების წინაშე, რათა დაინერგოს ოჯახის მხარდამჭერი, პრევენციული პროგრამები, რომლებიც შეინარჩუნებს ბავშვს ოჯახში. პრევენციული კომპონენტის პრიორიტეტულობა, ყველა მიმართულებით, წითელ ხაზად მიჰყვება ,,ბავშვის უფლებათა კოდექსს‘‘ ბავშვის უფლებათა კონვენციას და სოციალური მუშაობის შესახებ კანონს.

პრევენციული კომპონენტის განვითარებისთვის საჭიროა, რომ მუნიციპალიტეტებმა შეიმუშაონ საჭიროებებზე დაფუძნებული და შედეგებზე ორიენტირებული პროგრამები. სამწუხაროდ, ასეთი პროგრამები არ არის მაინცდამაინც.

გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა ადასტურებს, რომ აღზრდის არასწორი, ძალადობრივი მეთოდები ითვლება ნორმად არა მარტო მშობლებში, არამედ სპეციალისტებშიც, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ და ეს დამღუპველია, პრევენციულ დონეზე ვერ ხდება პრობლემის აღმოჩენა და უკვე შედეგებთან გვიწევს მუშაობა.

ვფიქრობ, პირველ რიგში უნდა დაინერგოს და გაძლიერდეს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, როგორიც არის პოზიტიური მშობლობა, პოზიტიური აღზრდა, პედაგოგებთან, მშობლებთან უნდა იმუშაონ სოციალურმა მუშაკებმა. მათ უნდა შეეძლოთ ძალადობის რისკების წინაშე მდგომი ბავშვების იდენტიფიცირება და დახმარება.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ეს პროექტი, რომელსაც ესწრებიან ექიმები, სოციალური მუშაკები, პოლიციელები, საბავშვო ბაღის პედაგოგები. ტრენინგის მონაწილეები შეირჩნენ სხვადასხვა უწყებებიდან, ვინაიდან, მნიშვნელოვანია უწყებათა თანამშრომლობა ოჯახის ეფექტური მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი და ცენტრალური სტრუქტურების თანამშრომლობა.

**ჯანა კახიანი,** *ფსიქოლოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი:* — პირველ რიგში უნდა დაინერგოს და გაძლიერდეს საგანმანათლებლო პროგრამები როგორიც არის პოზიტიური მშობლობა, პოზიტიური აღზრდა, პედაგოგებთან, მშობლებთან უნდა იმუშაონ სოციალურმა მუშაკებმა, ფსიქოლოგებმა. ასევე, მათ უნდა შეეძლოთ ძალადობის რისკების წინაშე მდგომი ბავშვების გამოვლენა, დახმარება და საჭიროებისშ ემთხვევებში მხარდაჭერა გაუწიონ ოჯახებს.

ეს პროექტი ემსახურება სხვადასხვა სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოვლენის, მათთან მუშაობის ფორმების გაცნობას, ასევე მშობლების განათლების და დახმარების გზების ჩვენებას. ამ ტრენინგს ესწრებიან ექიმები, სოციალური მუშაკები, საბავშვო ბაღის აღმზრდელები, ფსიქოლოგები. პედაგოგები, პოლიციელები. მსმენელებს გავაცანით ის მეთოდები და მიდგომები, რომლებსაც ვიყენებთ იმ ბავშვებთ ანდა მოზარდებთან მუშაობისას რომლებიც იყვნენ ძალადობის სხვადასხვა ფორმის სხვერპლები.

ტრენინგი მსვლელობისას სპეციალისტები ასევე გაეცნობიან შემდეგ საკითხებს:

*1. სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდების გაცნობას.(გონებრივი განვითარების დონის საკვლევი, ფსიქოემოციური და პიროვნების თავისებურებების კვლევის მეთოდები)*

*2. გაცნობა იმ ფსიქოლოგიური, ფსიქოთერაპიული მეთოდების, რომლებიც გამოიყენება სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობისას. (არტთერაპია, თამაშით თერაპია, ზღაპრით თერაპია, ქვიშით თერაპია და ა.შ.)*

*3. გაეცნობიან მოზარდებთან მუშაობის სხვადასხვა ფორმებს.*

*4. ოჯახთან მუშაობი სსხვადასხვა ტექნიკებს. (საუბარი, ინდივიდუალური და ჯგუფური)*

პირველ რიგში, მშობლობს უნდა ვასწავლოთ თუ რა არის პოზიტიური აღზრდა, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების და მოზარდების ინფორმირებულობა უფლებების და მოვალეობების შესახებ. ხშირად მათ არ უნდათ ვალდებულების გაცნობიერება და უფლებებით მანიპულირებენ. ბავშვებში საჭიროა საინფორმაციო კამპანია ჩატარდეს და ეს კომპონენტი მოვიდეს თანხვედრაში მშობლების განათლებასთან. ძალადობა არის სოციალური ფენომენი და მას მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში ვხვდებით, ამიტომ ყველა მშობლის განათლებაა მნიშვნელოვანი.

მნიშვნელოვანია, რომ ამ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას სხვადასხვა დარგის სპეციალისტები გაუზიარებენ და გაავრცელებენ თავის კოლეგებში, რაც გულისხმობს ე.წ. ,,კასკადურ‘‘ სწავლებას. და ეს კი ხელს შეუწყობს პრობლემის მოგვარებისკენ გადადგმულ კიდევ ერთ სერიოზულ ნაბიჯს.

**ლია კილაძე**

ფართი დაფინანსებულია

# გურიის რესპუბლიკა

# ნასაკირალის ბრძოლა

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით

დასაწყისი იხ. „ალიონი,“№34-35, 1-7




1905 წლის 19 ოქტომბერს ოზურგეთის მაზრის უფროსმა გააგრძელა მომხდარის გამოძიება. მან დაკითხა ჩოხატაურელი მოვაჭრეები. ი.ლაზარენკომ თავდასხმაში მონაწილე მოვაჭრეების გადაცემა მოითხოვა, მაგრამდაკითხულებმა განაცხადეს, რომ მათ არაფერი იცოდნენ.

მაზრის უფროსმა მომხდარი გააანალიზა და დაასკვნა: აჯანყებულთა მცირე რაზმის თავდასხმა უბნის მმართველობასა და საფოსტო განყოფილებაზე არც იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ ხელისუფლებას დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნით ეპასუხა.

1905 წლის 20 ოქტომბერს ი. ლაზარენკომ ჩოხატაურის უბნის მმართველობის შენობა დალუქა, შემდეგ საფოსტო განყოფილებაში არსებული თანხა ჩაიბარა და განყოფილების შენობაც დალუქა. ამის შემდეგ ჩოხატაურის უბნის მომრიგებელი სასამართლოს თავმჯდომარის, პეკარსკის, მოთხოვნით,დაილუქა სასამართლოს შენობა. პეკარსკი ისე იყო შეშინებული, ლაზარენკოს სთხოვა, ოჯახთან ერთად თან წაეყვანა ოზურგეთში. პეკარსკი და მისი ოჯახი ოთხცხენიან საფოსტო ეტლში მოთავსდნენ. ჩოხატაურიდან ოზურგეთის მაზრის უფროსი თანმხლები პირებითა და პლასტუნთა ასეულით 20 ოქტომბერს დაგეგმილი 11 საათის ნაცვლად ნაშუადღევის 3 საათზე გამოვიდნენ. გზა **ნასაკირალის** უღელტეხილამდე მშვიდობიანად გაიარეს. ჩოხატაურიდან მე-12 კილომეტრზე, სოფელ ნაგომრის გავლისას, უკვე დაღამდა. თავად სოფელში რუსებს სამარისებული სიჩუმე დახვდათ, მხოლოდ სოფლის აფთიაქიდან გამოკრთოდა შუქი. მალე მთვარეც ამოვიდა, ი. ლაზარენკო და მისი თანმხლებნი ასე გადაადგილდებოდნენ: წინ მიდიოდა 6 ცხენოსანი კაზაკი და 2 ცხენოსანი სტრაჟნიკი, შემდეგ პლასტუნთა ასეულის პირველი ოცეული, შემდეგ ეტლით მიდიოდნენ პეკარსკი და მისი ოჯახის წევრები. ეტლს მისდევდნენ ი. ლაზარენკო, პოდესაული პაპენჩენკო, ხორუნჟი მოსკალენკო და 8 სტრაჟნიკი, სულ ბოლოში იდგა პლასტუნთა ასეულის დანარჩენი ნაწილი და ალალი. უღელტეხილს რომ მიუახლოვდნენ, მთვარე ღრუბლებს მიეფარა და ჩამობნელდა. 2 ვერსის გავლის შემდეგ რუსები ხიდს მიადგნენ.აჯანყებულებმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდნენ ოზურგეთის მაზრის უფროს ი. ლაზარენკოს და მის თანმხლებთა მოძრაობის გრაფიკი. აჯანყებულთა ხელმძღვანელ სოციალ-დემოკრატ-ებში აზრი ორად გაიყო: ნაწილი მიიჩნევდა, რომ ნასაკირალის უღელ-ტეხილზე უნდა დახვედროდნენ ი. ლაზარენკოს, პლასტუნთა ასეულსა და სტრაჟნიკთა რაზმს, დაემარცხებინათ და განეიარაღებინათ ისინი; ნაწილი მიიჩნევდა, რომ შეჯახებისას დიდი სისხლი დაიღვრებოდა, რაც შექმნილ ვითარებაში უაზრო იქნებოდა. ცნობილი სოციალ-დემოკრატი **ბენია ჩხიკვიშვილი** ბრძოლის გამართვის წინააღმდეგი იყო, მაგრამ როდესაც რსდმპ გურიის კომიტეტმა ბრძოლის გამართვა გადაწყვიტა, ბენია ჩხიკვიშვილი სათავეში ჩაუდგა აჯანყებულებს. აჯანყებულებმა ბრძოლის ადგილი კარგად შეარჩიეს, ნასაკირალის უღელტეხილზე ვიწრო გზა გადიოდა, ერთი მხრიდან გზას მაღალი კლდეები დაჰყურებდა, მეორე მხარეს ციცაბო ფერდობი იყო, რომელიც მდინარე **ბახვისწყლის** ნაპირამდე აღწევდა. აჯანყებულებმა გზის იმ მხარეს, სადაც ციცაბო ფერდობი იწყებოდა, ბარიკადები მოაწყვეს და მსროლელები ჩაასაფრეს. გზის მეორე მხარეს, კლდეებზე, ბომბის მტყორცნელები გამაგრდნენ. აჯანყებულებმა გზაზე საგანგებო სადარაჯოები მოაწყვეს, რათა რუსების გადაადგილებისათვის თვალყური ედევნებინათ. დროდადრო ცხენოსან მებრძოლთა რაზმები იგზავნებოდა როგორც ჩოხატაურის, ისე ოზურგეთის მიმართულებით. 20 ოქტომბერს, საღამოს, მზვერავებმა ჩოხატაურიდან ნასაკირალის უღელტეხილისაკენ მიმავალი ი. ლაზარენკო, პლასტუნები და სტრაჟნიკები შენიშნეს. სიბნელის გამო ყველაფერი ვერ გაარჩიეს, მაგრამ სულ მალე ცხენების ფლოქვების ხმა და პლასტუნთა აღალის ჭრიალი გაისმა. ი. ლაზარენკო ცხენზე იყო ამხედრებული, ჩოხატაურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე პეკარსკი და მისი ოჯახი კი ეტლში ისხდნენ. აჯანყებულთა გეგმის თანახმად, ი. ლაზარენკო, პლასტუნთა ასეული და სტრაჟნიკები, ასევე მათი თანმხლები პირები გზის ორივე მხარეს მოწყობილი ჩასაფრების სიღრმეში უნდა შეეტყუებინათ და შემდეგ დასხმოდნენ თავს.

აჯანყებულებმა ცეცხლი მოულოდნელად გახსნეს, რამაც მოწინააღმდეგის რიგებში დაბნეულობა გამოიწვია. ყველაზე ძლიერი ცეცხლი პლასტუნთა ასეულის პირველ და მეორე ოცეულებს და იმ საფოსტო ეტლს დაატყდა, რომლითაც პეკარსკი და მისი ოჯახი გადაადგილდებოდა. პირველსავე წუთებში მოკლეს მეეტლე და სტრაჟნიკთა რამდენიმე ცხენი, ასევე მოკლეს 1 და დაიჭრა 12 პლასტუნი. პლასტუნთა ასეულის მეთაურმა, პოდესაულმა **პაპენჩენკომ** მოკლე გადარბენებით უკან დახევის ბრძანება გასცა. პლასტუნებმა უკან დახევის დროს თან წაიყოლეს მოკლულის გვამი და დაჭრილებიც. მალე რუსები გონს მოეგნენ და უკან დახევასთან ერთად აჯანყებულებს კარგად ორგანიზებული ცეცხლი გაუხსნეს. უნდა აღინიშნოს, რომ აჯანყებულების ცეცხლმა რუსებს დიდი ზიანი ვერ მიაყენა და პლასტუნებმა და სტრაჟნიკებმა 1 ვერსის მანძილზე თითქმის უდანაკარგოდ დაიხიეს უკან. ი. ლაზარენკომ შენიშნა, რომ არც ციცაბო ფერდობის და არც კლდეების მხრიდან აჯანყებულები არ ისროდნენ, სროლა წინა და უკანა მხრიდან მიმდინარეობდა. ი. ლაზარენკომ, პაპენჩენკომ და მოსკალენკომ ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ ციცაბო ფერდობით მდინარე ბახვისწყლის ნაპირისაკენ დაშვებულიყვნენ. მდინარის ნაპირისაკენ დაშვება სწრაფად განხორციელდა, რუსებმა ბახვისწყალი გადალახეს და ქვების უკან ჩასაფრდნენ. აჯანყებულებმა რუსების ჩასაფრების ადგილი დაადგინეს და ოთხივე მხრიდან ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს. ი. ლაზარენკომ გადაწყვიტა 21 ოქტომბერს გამთენიისას მახლობლად მდებარე მთაზე ასულიყო და იქ გამაგრებულიყო. პლასტუნებისა და სტრაჟნიკების მოძრაობა აჯანყებულებმა შენიშნეს და ძლიერი ცეცხლი გახსნეს. სროლა 21 ოქტომბრის საღამომდე გრძელდებოდა. 21 ოქტომბერს შუადღისას ი. ლაზარენკომ გადაწყვიტა ოზურგეთში მყოფ პლასტუნთა ბატალიონის მეთაურ პოლკოვნიკ **ურაზოვისათვის** დახმარება ეთხოვა. 5 მოხალისე ოზურგეთისაკენ გაემართა. აჯანყებულებმა ოზურგეთში გაგზავნილი კურიერების მოძრაობა შენიშნეს, სამი მათგანი მოკლეს, ორმა კი ოზურგეთში ჩააღწია. რამდენიმე საათის შემდეგ მთაზე გამაგრებულმა რუსებმა ოზურგეთის მხრიდან სროლის ხმა გაიგონეს. ი. ლაზარენკომ დაასკვნა, რომ აჯანყებულებს ოზურგეთზეც დაეწყოთ შეტევა. მართლაც, აჯანყებულთა დიდი რაზმი მდინარე **სუფსაზე** გადასულიყო და **ოზურგეთისაკენ** დაძრულიყო. 21 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე ნასაკირალის უღელტეხილზე ჩასაფრებულმა აჯანყებულებმა სროლა შეწყვიტეს. მთელი ღამის განმავლობაში აჯანყებულთა ჯგუფები მთაზე გამაგრებულ რუსებთან მიახლოებას და ცეცხლის გახსნას ცდილობდნენ.

ი. ლაზარენკომ გადაწყვიტა 22 ოქტომბერს, დილით, ალყა გაერღვია და ოზურგეთისაკენ დაძრულიყო. გამთენიისას პოდესაული **პაპენჩენკო** პლასტუნთა 0,5 ასეულით მთიდან დაეშვა, მდინარე **ბახვისწყალი** გადალახა და **ნასაკირალის** ქედზე საბრძოლო პოზიცია დაიკავა. პაპენჩენკოსთან ერთად იმყოფებოდა ლაზარენკოც. აჯანყებულებს პაპენჩენკოსათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ცოტა ხნის შემდეგ მთაზე დარჩენილმაპლასტუნთა 0,5 ასეულმა მოკლულთა გვამები მოაგროვა და დაჭრილებთან ერთად პაპენჩენკოსთან შესაერთებლად გაემართა. ციცაბო აღმართზე პლასტუნებმა 3 მოკლულის გვამის ატანა და დაჭრილების აყვანა ვერ შეძლეს. ამ დროს ბრძოლის ადგილას გამოჩნდა ოზურგეთიდან პლასტუნთა ბატალიონის მეთაურის პოლკოვნიკ **ურაზოვის** მიერ გამოგზავნილი 1 ასეული და სამოსწავლო რაზმი. დამხმარე რაზმის მოსვლის შემდეგ ი. ლაზარენკომ სამოქმედო გეგმა შეცვალა. მან გადაწყვიტა მოკლულთა გვამები და დაჭრილები აღალის ოთხთვალებში მოეთავსებინა და პლასტუნთა ასეულის თანხლებით ნასაკირალის უღელტეხილზე გამავალი გზით ოზურგეთისაკენ გაეგზავნა. დასახმარებლად მოსულ მეორე ასეულს გზის პარალელურად მთების მხარეს უნდა ემოძრავა და დაედგინა, თუ სად იყვნენ ჩასაფრებული აჯანყებულები. გაირკვა, რომ ამ მიმართულებით აჯანყებულებს ჩასაფრება შესანიშნავად ჰქონდათ ორგანიზებული. ი. ლაზარენკომ დაასკვნა, რომ ნასაკირალის უღელტეხილზე რუსები ღღისით რომ მისულიყვნენ, ცოცხალი ველარავინ გადარჩებოდნენ, ისინი მხოლოდ ღამის სიბნელემ იხსნა.

ი. ლაზარენკომ, პლასტუნებმა და სტრაჟნიკებმა ნასაკირალის უღელტეხილი მშვიდობიანად გადაიარეს. გზა **დვაბზუს** სასოფლო თემზე გადიოდა. დვაბზუში შესვლისას აღმოჩნდა, რომ სოფელი მთლიანად დაცლილი იყო. სოფლელთა გახიზვნის მიზეზი ის იყო, რომ მათი. ლაზარენკოს მიერ გაგზავნილი 5 კურიერიდან 3 მოკლეს, ხოლო ოზურგეთიდან რუსების დასახმარებლად გამოგზავნილ პლასტუნთა ასეულს ცეცხლი გაუხსნეს. ამის პასუხად რუსებმა დვაბზუში ყველა სახლი გადაწვეს. ი. ლაზარენკომ პეკარსკის თანდასწრებით პოდესაულ **კოსტელიანოვს** სახლების გადაწვის გამო შენიშვნა მისცა. შენიშვნა პოდესაულმა არ მიიღო და განაცხადა: სახლების გადაწვა სამხედრო მოსაზრებებით იყო განპირობებულიო.

1905 წლის 20-21 ოქტომბერს ნასაკირალის უღელტეხილზე მიმდინარე ბრძოლების დროს რუსების დანაკარგი ასეთი იყო: აჯანყებულებმა მოკლეს 6 და დაჭრეს 13 პლასტუნი, გარდა ამისა, მოკლეს კიდევ 2 სტრაჟნიკი,ხოლო 5 სტრაჟნიკი უკვალოდ დაიკარგა, აგრეთვე – მთარგმნელი ანთაძე. აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა მოკლულთა, დაჭრილთა და უკვალოდ დაკარგულთა იარაღი. გარდა ამისა, აჯანყებულებმა ბრძოლის დროს მოკლეს სტრაჟნიკთა 4 ცხენი, 10 ცხენი კი გაიქცა. სულ რუსებს მიადგათ 5.106 მანეთისა და 50 კაპიკის მატერიალური ზარალი.

ოზურგეთში დაბრუნების შემდეგ ი. ლაზარენკოს აცნობეს: 1. აჯანყებულები თავს დასხმნიან **ნატანები-სუფსის** რკინიგზის ხაზზე დრეზინით მიმავალ კაზაკებს და 7 მათგანი მოუკლავთ; 2. **ნატანები-სუფსის** რკინიგზის ხაზზე აჯანყებულები თავს დასხმიან ეროვნებით ინგუშ 2 სტრაჟნიკს, რომლებიც ქუთაისიდან სუფსისაკენ დრეზინით მიდიოდნენ. ერთმა სტრაჟნიკმა ცეცხლსასროლი იარაღიდან 3 ჭრილობა მიიღო, დასახიჩრდა მეორეც; 3. აჯანყებულები თავს დაესხნენ სტრაჟნიკთა პოსტს **სუფსაში** და ხელში ჩაიგდეს 5 შაშხანა; 4. აჯანყებულები თავს დაესხნენ ოზურგეთის მაზრის **ლანჩხუთის** უბნის მმართველობას, გაანადგურეს იქ დაცული დოკუმენტები და გაიტაცეს 7 შაშხანა.

**1905 წლის 20-21 ოქტომბერს ნასაკირალზე გამართული ბრძოლა გურიაში რევოლუციური მოძრაობის კულმინაციას წარმოადგენდა. ბრძოლები აჯანყებულებსა და ჯარს შორის ამის შემდეგაც გრძელდებოდა, ამ ბრძოლებს სტიმული სწორედ ნასაკირალის ბრძოლამ მისცა. მთელი გურია აჯანყების ცეცხლში გაეხვია.**

ნასაკირალის ბრძოლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. 1905 წლის 27 ოქტომბერს **სამტრედიიდან** გაფიცული რკინიგზელების სახელით ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს დეპეშით აცნობეს, რომ გაფიცული რკინიგზელები მუშაობას შეუდგებოდნენ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ: 1. სამხედრო მდგომარეობის გაუქმება; 2. ჯარების გაყვანა გურიიდან; 3. გაფიცვის შეწყვეტაზე ამიერკავკასიის რკინიგზის მუშების თანხმობა. იმავე 27 ოქტომბერს ქალაქ **ბათუმისა** და **კინტრიშის** უბნის დროებითმა სამხედრო გუბერნატორმა,გენერალ-მაიორმა **პიოტრ (ედმუნდ) ფონ პარკაუმ** კავკასიის პოლიციის გამგეს, გენერალ-მაიორ **ევგენი შირინკინს** დეპეშით აცნობა: **„მთელი გურია აჯანყებულია. სახელმწიფო ხელისუფლება აღარ მოქმედებს".** გენერალი ბათუმის ოლქზე სამხედრო მდგომარეობის გავრცელებას ითხოვდა. მდგომარეობა მართლაც საგანგაშო იყო. ეს კარგად ჩანს ოზურგეთის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ კავკასიის პოლიციის გამგისათვის გაგზავნილი მოხსენებიდან. მოხსენებაში შემდეგი ფაქტებია მოყვანილი:

*1. ყუბანის კაზაკთა ჯარის, პლასტუნთა ბატალიონის ოზურგეთიდან გასვლის შემდეგ, 1905 წლის 7 დეკემბერს, დაახლოებით 1.000 შეიარაღებული აჯანყებული ოზურ-გეთის მაზრის მმართველობის შენობაში შეიჭრა და პოლიციის მიერ მოსახლეობისათვის ჩამორთმეული იარაღი გაიტაცა. ღამით იგივე აჯანყებულები მეორედ დაესხნენ თავს სამაზრო მმართველობის შენობას, სიკვდილის მუქარით სტრაჟნიკები აიძულეს მათთვის გადაეცათ ბერდანის ტიპის 25 თოფი და ვაზნები. აჯანყებულებმა მაზრის მმართველობის შენობიდან გაიტაცეს დოკუმენტაცია. 10 დეკემბერს აჯანყებულები უკვე მესამედ დაესხნენ თავს ოზურგეთის მაზრის მმართველობის შენობას, გაჩხრიკეს ყველა ოთახი და გაიტაცეს იქ დაცული საბუთების ნაწილი;*

*2. ამ თავდასხმების შემდეგ ქალაქ ოზურგეთში წესრიგს აჯანყებულთა რაზმები იცავენ. ამის თაობაზე ქალაქში განცხადებები გამოაკრეს;*

*3. 12 დეკემბერს აჯანყებულები თავს დაესხნენ ოზურგეთის პოლიციის სამმართველოს, გაჩხრიკეს კანცელარია და ქალაქის პრისტავის კაბინეტი, გაიტაცეს დოკუმენტები და პრისტავის კუთვნილი 50 მანეთი. იმავე დღეს აჯანყებულები შეიჭრნენ მომრიგებელი სასამართლოს შენობაში, შენობა გაჩხრიკეს და გაიტაცეს დოკუმენტები;*

*4. 15 ნოემბრის შემდეგ ყოველდღე იმართებოდა მრავალათასიანი მიტინგები.*

აშკარა ხდებოდა, რომ თუ აჯანყებული გურულები ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ ბრძოლას არ შეწყვეტდნენ, მოსალოდნელი იყო დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გურიაში.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

საქართველოს ახალი ისტორია, 1801-1918 წ. ტ.3. გვ.-349-352

# ოზურგეთის თოჯინების თეატრი ნორჩ მაყურებელთან შესახვედრად მზად არის



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი ნორჩ მაყურებლებთან შესახვედრად მზად არის. თეატრი ახლა ნახუცრიშვილის პოპულარულ პიესაზე „ჭინჭრაქაზე" მუშაობს (რეჟისორი ოთარ კუტალაძე)

გასულ კვირაში გაზეთი „ალიონი" ოზურეთის თოჯინების თეატრს ესტუმრა, იქ მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა და ახალი სპექტაკლის რეპეტიციასაც დაესწრო.

შემდეგ კი თეატრის დირექტორს **ლაშა კუტალაძეს** ესაუბრა:

*—თავად ხედავთ, ოზურგეთის მერიის ძველი შენობის მეორე სართულზე რამდენი სამუშაო შევასრულეთ. მუნიციპალტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით შარშან ახალ დარბაზში მეტალოპლასმასის ფანჯრები ჩავსვით და ჭერი გავარემონტეთ. რომ არა პანდემია, დასრულებული გვექნებოდა მაყურებელთა დარბაზში სამუშაოები..მერია კიდევ გვპირდება დახმარებას. ვფიქრობ აქ მოსულ პატარებს და უფროსებს კომფორტული პირობები ექნებათ.*

***—საინტერესოა შემოქმედებითი მუშაობა..***

*—შარშან, პირველ კვარტალში მ. სუპონინის „ბუტიას" მიხედვით, ახალი ვარიანტი „გაბუტული ბაჭია" დადგა თეატრის რეჟისორმა ოთარ კუტალაძემ, რომლის პრემიერა 28 იანვარს ვუჩვენეთ მაყურებელს. ჩვენი პატარა მაყურებლისათვის 4,5 და 6 იანვარს ჩავატარეთ უფასო საახალწლო სპექტაკლები —„საახალწლო ზღაპარი". შობას, ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან ერთად ვესტუმრეთ ასოციაცია „გურიას" და მის ბენეფიციარებსაც ვუჩვენეთ საახალწლო სპექტაკლი.*

*შემდეგ მოწვეულმა აჭარის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა რევაზ ბაიზანიშვილმა დაიწყო მუშაობა სპექტაკლზე — ნ. ანთიძის „მუჭანახევარა". სპექტაკლის გამოშვების ვადა განსაზღვრული იყო მარტის თვის ბოლოს, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო მუშაობა შევწყვიტეთ. ასევე ამ პერიოდში, რეჟისორმა ოთარ კუტალაძემ ს. ჭეიშვილის სპექტაკლზე „დაიყივლე მამალო" დაიწყო მუშაობა...*

*16 ივნისს, კულტურის სამინისტროს ბრძანების საფუძველზე გავაგრძელეთ მუშაობა და 27 ივლისს „მუჭანახევარას" პრემიერა შედგა. ამას სექტემბრის ბოლოს მოჰყვა პრემიერა ნ. იოთამიშვილის „თავუნიას გასაჭირი", (აჭარის დამსახურებული არტისტის ვახტანგ გიგინეიშვილის დადგმა), ხოლო ოქტომბრის ბოლოს დამთავრდა მუშაობა და შედგა შიდა პრემიერა ოთარ კუტალაძის პიესის „მოგზაურობა ზღაპრულ სამყაროში."*

***—როგორ კონტაქტობდით ნორჩ მაყურებელთან..***

*— შარშან, პირველ კვარტალში 14 საქველმოქმედო სპექტაკლი გავმართეთ ამჟამად ყოველ შაბათს, ფეისბუქის საშუალებით ვუჩვენებთ სპექტაკლებს მიმდინარე რეპერტუარიდან..*

***—შარშან თქვენ დიდ წარმატებას მიაღწიეთ ქობულეთის საერთაშორისო ფესტივალზე...***



*— ოზურგეთის თოჯინების თეატრი წარმატებით წარსდგა 2020 წლის 1-6 სექტემბერს გამართულ თოჯინების საერთაშორისო ფესტივალზე „მზიანი საქართველო", სადაც თეატრმა წარმოადგინა პრემიერა „მუჭანახევარა."ამ სპექტაკლით ფესტივალის გამარჯვებული გავხდით და გრან პრი მივიღეთ.*

*ასევე გავიმარჯვეთ ნომინაციებში: საუკეთესო სინქრონი, საუკეთესო რეჟისურა, საუკეთესო მხატვრობა, საუკეთესო მუსიკა. მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად ჩვენი მსახიობი გურამ კეკელიძე და-სახელდა. ასევე საუკეთესო მერად კონსტანტინე შარაშენიძე, რომელსაც ფესტივალის ორგანიზატორების მიერ გადაეცა ფესტივალის ოქროს დიპლომი.*

*ნოემბრის ბოლოს კი თეატრი ქალაქ თბილისში იყო მიწვეული.*

***—თქვენი თეატრი ქველმოქმედებასაც ეწევა..***

*—კი, შარშან თეატრის კოლექტივმა თავიანთი ხელფასის დანაზოგით 12 მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახს გაუწია დახმარება. 3 ათას ლარზე მეტი შევაგროვეთ და ამ ოჯახებს აუცილებელი საკვები პროდუქტი და დამცავი ქიმიური საშუალებები გადავეცით...*

*ოზურგეთის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის კოლექტივმა ფაქტიურად განაახლა ავარიულ მდგომარეობამდე მისული ოზურგეთის ყოფილი მერიის შენობის მეორე სართული და ვფიქრობთ, ძალიან მალე ოზურგეთს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი შეემატება.*

# კაი საკითხავი წიგნი



ორი-სამი დღის წინ, კიდევ ერთხელ წავიკითხე ანზორ ერქომაიშვილის წიგნი „ჩემი ბაბუა-არტემ ერქომაიშვილი." ყველა წაკითხვის დროს უდიდესი განცდები მეუფლება, რადგან იგი ჩემს სოფელს და მის უდიდეს მოღვაწეებს ეხებათ უშუალოდ.

ანზორი კარგად აღწერს ერქომაიშვილების გვარის წარმომავლობას და შემდგომ მათ უდიდეს განვითარებას ხელოვნების გზაზე. ჩემს ანზორს არ შეშლია არასდროს არაფერი და აქაც ღრმა ცოდნით მიიტანა მკითხველამდე საუკუნოვანი გვარის მოღვაწეობის ყველა ის პერიოდი, რომელიც მათ გაიარეს სიღარიბიდან სახელის მოხვეჭამდე.

გამოგიტყდებით, და მე, ცრემლიც კი მომერია იმ ადამიანების გახსენებაზე, რომლებსაც ძალიან ახლოს ვიცნობდი, მათთან ერთად დავდიოდი ჩვენი სოფლის შარაგზაზე. მომისმენია ლაპარაკი, მათი სიმღერები და ვერთობოდი მათთან ერთად, რისთვისაც მადლობას ვუხდი ბატონ ანზორს მათი გახსენებისთვის.

ჩვენი სოფლის ცენტრში იდგა სამი ძირი მაღალი ალვის ხე. იქვე იყო ჩამოსაჯდომი, სადაც ხშირად მინახავს ჩემი სოფლის მკვიდრი დიომიდე ანთელიძე. ამ კაცზე ანზორს ძალიან კარგად აქვს დაწერილი — თუ რას წარმოადგენდა იგი და რა განიცადა მან თავისი თანამდებობის გამო. მე შემძრა ამ კაცის მიერ ერქომაიშვილების ოჯახისადმი მიწერილი გულით ნათქვამმა, იმ სამძიმარზე, რაც ოჯახმა და მთლიანად სოფელმა განიცადა ანზორის მამის — დათიკოს ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

დიომიდე ასე ამბობს სამძიმარს: „მე არ მინდა დათიკოს დასახიჩრებული სხეული ვნახო და ასეთი დამამახსოვრდეს, ამიტომ ბოდიშს გიხდით, რომ არ მოვდივარ სამძიმარზე."

გულში ჩამწვდომი სიტყვები აქვს ნათქვამი ამ ალალ კაცს.

აი, კიდევ ერთი ეპიზოდი მინდა გამოვყო ამ წიგნიდან: კაცმა, რომელმაც თითქმის მთელი თავისი ცხოვრება ემიგრაციაში გაატარა, ბოლოს ღმერთმა არგუნა ის ბედნიერება, რომ სიცოცხლის ბოლოს თანასოფლელებს შეხვედროდა.

ოზურგეთის ფოლკლორული ანსამბლი „ელესა"საგასტროლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. ანზორისთან ერთად იყვნენ: ამირან თოიძე, გური სიხარულიძე და ვალერიან ბერიშვილი.

ანზორი ასე იხსენებს იმ დღეს: —როცა კონცერტი დამთავრდა, სცენაზე ამოვიდა ერთი მოხუცი და დაიძახა: — „მაკვანეთიდან რომელი ხართ აქანეო". როცა მას წარუდგნენ ანზორი, ამირანი და გური, — მოხუცმა უთხრა: —„მე მაკვანეთელი თავადის ნაკაშიძეების შვილი გიორგი ნაკაშიძე ვარო..." გიორგი ნაკაშიძემ გაიხსენა სოფელში მცხოვრები ყველა გვარი და განსაკუთრებულად ახსენებდა ერქომაიშვილებს, რომლებიც ეკლესიაში გალობდნენ. გაიხსენა სხვა მომღერლებიც, სოფლის ლამაზი მდინარე აგიდაყვა, სადაც ბავშვებისას თევზაობდნენ და მის ჭალაში ბურთს თამაშობდნენ.

სხვა ბევრი რამ გაიხსენა გიორგი ნაკაშიძემ და შემდეგ სახლში მიიპატიჟა გურულები და შესაფერისად გაუმასპინძლდა.

მომდევნო ჩასვლაზე ბატონ ანზორს აღარ დახვდა გიორგი ნაკაშიძე ცოცხალი. იგი 98 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მოკლედ,კიდევ ერთხელ ძალიან ნასიამოვნები დავრჩი ამ წიგნის წაკითხვით, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ჩემს უმცროს მეგობარს — ანზორ ერქომაიშვილს და ვისურვებ, კიდევ მრავალი ასეთი ღირსეული შვილის გაზრდოდეს ჩემს საყვარელ სოფელს.

**ტრისტან სიხარულიძე,**
ხელოვნების ქურუმი

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 29 მარტი ორშაბათი | 30 მარტი სამშაბათი | 31 მარტი ოთხშაბათი | 1 აპრილი ხუთშაბათი | 2 აპრილი პარასკევი | 3 აპრილი შაბათი | 4 აპრილი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, +2+12 | მზე, ღრუბელი- +2+11 | მზე, ღრუბელი- +4+11 | წვიმა +4+14 | წვიმა +5+10 | მზე, ღრუბელი- +5+12 | მზე +7+16 |